



მანა გონაშვილი, ლია თოდუა

# მოქალაქე და ეკონომიკა

დამხმარე სახელმძღვანელო  
IX-XI კლასი

საგარეო ურთიერთობების რვეული მოსწავლისათვის

-----  
-----



თბილისი 2016

მანა გონაშვილი, ლია თოდუა

მთქაღაქე  
და  
ეკონომიკა

ღამხარე სახელმწიფო  
IX-XI კლასი

საგარეო ურთიერთობების რეულო  
მოსწავლისათვის

თბილისი 2016

## **ქვირფასო მოსწავლეებო!**

წიგნი „მოქალაქე და ეკონომიკა“ განკუთვნილია IX-XI კლასის მოსწავლეთათვის. მისი გამოცენება შესაძლებელია დამხმარე სახელმძღვანელოდ (მაგალითად, „სამოქალაქო განათლების“ კურსისთვის). წიგნი შედგება ორი ნაწილისგან: თეორიული სახელმძღვანელო (გამოცემულია ცალკე) და სავარჯიშოების რვეული.

ამ წიგნში ახლებურად არის განხილული სამოქალაქო განათლების ეკონომიკური ნაწილი. წიგნი დაგეხმარებათ უკეთ გაიგოთ ის ეკონომიკური საკითხები, რომელიც მოქალაქეებს ყოველდღიურ ცხოვრებაში გვხვდება, გაიაზროთ თქვენი ადგილი ქვეყნის ეკონომიკაში და მიიღოთ უკეთესი, თქვენთვის სასარგებლო ეკონომიკური გადაწყვეტილებები.

პუბლიკაცია მომზადდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ზეგავლენა ქართველ მომხმარებლებზე და მათი ცნობიერების ამაღლება“ (Raising Awareness of Local Actors on the Implications of the Association Agreement for Georgian Consumers) ფარგლებში. პროექტს ახორციელებს „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“.

პუბლიკაცია არ გამოხატავს ევროკავშირის პოზიციას.

© საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრს“.

© მაია გონაშვილი, ლია თოდუა; თბილისი, 2016.

ISBN 978-9941-25-057-6

გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.

☎ 2 30-96-14; 2 14-77-11. E-mail: meridiani777@gmail.com

# თავი 1. ადამიანის ეკონომიკური ინტერესი

## საპარაფიზო 1: აირჩიე სწორი პასუხი

რესურსების შეზღუდულობის პრობლემა გადაიჭრება:

- ა) თუ ადამიანები რესურსებს ეკონომიურად მოიხმარენ;
- ბ) თუ ყველა მოიხმარს იმას, რაც უნდა;
- გ) თუ მეცნიერების განვითარებასთან ერთად გაიზრდება საქონლის წარმოება;
- დ) ვერ გადაიჭრება ადამიანთა შეუზღუდავი მოთხოვნილებების გამო.

## საპარაფიზო 2: სწორია თუ არა?

1. არჩევანის წინაშე მარტო ასაკოვანი ადამიანები დგანან	სწორია	არასწორია
2. ჩვენი შესაძლებლობები შეზღუდულია	სწორია	არასწორია
3. მდიდრებს შეუძლიათ ყველა სურვილის დაკმაყოფილება	სწორია	არასწორია
4. სარგებლიანი ნივთი ყოველთვის სასარგებლოა	სწორია	არასწორია
5. ყველა ადამიანი დაინტერესებულია, რაც შეიძლება მეტი პროდუქცია შეიძინოს	სწორია	არასწორია

**საპარაფიზო 3: გაიხსენე და აღწერე ორი სიტუაცია, როდესაც არჩევანის გაკეთება მოგიხდა. მიუთითე: რა იყო არჩევანის მიზეზი, რომელი რესურსი (რესურსები) იყო შეზღუდული?**

სიტუაციის აღწერა	შეზღუდული რესურსები
1.	
2.	

**საპარჯიშო 4: ჩანერე შემდეგ ცხრილში შენი მოთხოვნილებები და მათი დაკმაყოფილების გზები:**

<p>ძირითადი მოთხოვნილებები (ის, რისი დაკმაყოფილების გარეშე ვერ იცოცხლებ)</p>	<p>მოთხოვნილების დაკმაყოფილების გზები:</p>
<p>დამატებითი მოთხოვნილებები (ის, რისი დაკმაყოფილების გარეშე ცხოვრება შესაძლებელია, მაგრამ რთულია)</p>	<p>მოთხოვნილების დაკმაყოფილების გზები:</p>
<p>სხვა მოთხოვნილებები (ის, რისი დაკმაყოფილების გარეშე ცხოვრება იოლად შესაძლებელია)</p>	<p>მოთხოვნილების დაკმაყოფილების გზები:</p>

**საპარჯიშო 5:** ქვემოთ ცხრილში ჩაწერე ნივთები ან მომსახურება, რომელსაც შენთვის და შენი მეგობრისთვის განსხვავებული სარგებლიანობა გააჩნია. განმარტე ამ განსხვავების მიზეზი.

ჩემთვის უფრო სარგებლიანია, ვიდრე ჩემი მეგობრისთვის:	ჩემი მეგობრისთვის უფრო სარგებლიანია, ვიდრე ჩემთვის:
1.	1.
2.	2.
3.	3.

**საპარჯიშო 6: აირჩიე რომელიმე რეკლამა და ჩამოწერე ქვემოთ დიაგრამაში მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები**

რეკლამის დადებითი მხარეები	რეკლამის უარყოფითი მხარეები

**საპარჯიშო 7: აირჩიე რეკლამა, რომელიც მოგწონს. უპასუხე შემდეგ კითხვებს:**

- რატომ მოგწონთ ეს რეკლამა? რა დადებით ასოციაციებს იწვევს ის თქვენში?
  
- რა ინფორმაციას განვლით რეკლამა?
  
- როგორ ფიქრობთ, რამდენად სანდოა ის ინფორმაცია, რომელსაც რეკლამიდან იღებთ? რაში გეპარებათ ეჭვი?

**საპარჯიშო 8:** აირჩიე რომელიმე რეკლამა. მოიძიე ინტერნეტში ან ნაცნობ-მეგობრებში ინფორმაცია რეკლამირებული პროდუქციის შესახებ. გააანალიზე მიღებული ინფორმაცია და უპასუხე შემდეგ კითხვებს:

- პროდუქციის რა თვისებებით არიან მომხმარებლები კმაყოფილი?
- პროდუქციის რა თვისებებით არიან მომხმარებლები უკმაყოფილო?
- პროდუქციის რომელ თვისებებზე ამახვილებს რეკლამა ყურადღებას?
- რამდენად შეესაბამება რეკლამით შექმნილი მოლოდინი მომხმარებლების რეალურ გამოცდილებას?

## თავი 2. ვაჭრობა და ბაზარი

### საპარჯიშო 1: აირჩიე სწორი პასუხი

- ადამიანები ვაჭრობენ იმიტომ, რომ:
  - ზედმეტი პროდუქტის მოშორება უნდათ;
  - სურთ გაცვალონ ის, რაც ნაკლებად სჭირდებათ, იმაში რაც მეტად სჭირდებათ;
  - ფული სჭირდებათ.
- მოთხოვნა არის:
  - გადახდისუნარიანი მოთხოვნილება;
  - ყველაფერი ის, რისი შეძენის სურვილი გვაქვს;
  - ყველაფერი ის, რაც გვინდა რომ გვქონდეს;
  - სამივე პასუხი არასწორია.
- როდესაც ბაზარზე მყარდება წონასწორობა, მაშინ
  - მოთხოვნისა და მიწოდების სიდიდეები ერთმანეთის ტოლია;
  - მოთხოვნის სიდიდე უფრო მეტია, ვიდრე მიწოდება;
  - მიწოდების სიდიდე უფრო მეტია, ვიდრე მოთხოვნა;
  - არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**საპარჯიშო 2: აირჩიე რომელიმე პროდუქცია. დაახასიათე ამ პროდუქციის ბაზარი შენს ქალაქში, სოფელში ან რაიონში. ამისთვის ქვემოთ ცხრილში ჩამოწერე ამ პროდუქციის გამყიდველები და მყიდველები.**

პროდუქცია: ----- ქალაქი/რაიონი/სოფელი: -----

გამყიდველები:	მყიდველები:

### საპარჯიშო 3: გამოიყენე შემდეგი ცხრილი და ააგე ფორთოხლის ბაზრის დიაგრამა


1 კგ ფორთოხლის გასაყიდი ფასი (ლარი)	მყიდველების რაოდენობა, რომელთაც სურთ და აქვთ შესაძლებლობა 1კგ ფორთოხალი შეიძინონ ამ ფასად (მოთხოვნის რაოდენობა)	გამყიდველების რაოდენობა, რომელთაც სურთ და აქვთ შესაძლებლობა 1კგ ფორთოხალი გაყიდონ ამ ფასად (მიწოდების რაოდენობა)
0,1	26	0
0,2	22	2
0,3	18	4
0,4	15	6
0,5	12	8
0,6	10	11
0,7	8	14
0,8	6	18
0,9	4	22
1	2	26

დიაგრამის ასაგებად მოიქეცი ასე: ქვემოთ, კოორდინატთა სივრცეზე, ფორთოხლის თითოეული ფასისთვის მოძებნე წერტილი, რომელიც ასახავს შესაბამისი მოთხოვნის რაოდენობას (ამისთვის შესაბამისი ფასის წარწერიდან გადათვალე მარჯვნივ იმდენი უჯრა, რამდენიც, ცხრილის მიხედვით, არის ამ ფასის ფორთოხალზე მოთხოვნის რაოდენობა). აღნიშნე მიღებული წერტილი **X** ნიშნით (ზოგიერთი წერტილი დიაგრამაზე უკვე დატანილია). შეაერთე **X** ნიშნები უწყვეტი მრუდით – გამოგივა ბაზარზე ფორთოხლის მოთხოვნის გრაფიკი.

შემდეგ გაიმეორე იგივე ფორთოხლის მიწოდებისთვის: ფორთოხლის თითოეული ფასისთვის მოძებნე წერტილი, რომელიც ასახავს შესაბამისი მიწოდების რაოდენობას (ანუ ფასიდან მარჯვნივ გადათვალე იმდენი უჯრა, რამდენიც, ზედა ცხრილის მიხედვით, არის ამ ფასისთვის ფორთოხლის მიწოდების რაოდენობა). აღნიშნე მიღებული წერტილები **O** ნიშნით (ზოგიერთი წერტილი დიაგრამაზე უკვე დატანილია). შეაერთე **O** ნიშნები უწყვეტი მრუდით – და გამოგივა ბაზარზე ფორთოხლის მიწოდების გრაფიკი.

გამოყავი განსხვავებული ფერით მოთხოვნის და მიწოდების მრუდების გადაკვეთის წერტილი. ეს არის ბაზრის წონასწორობის წერტილი.

- როგორია ფორთოხლის ფასი ამ წერტილში?
- როგორია მყიდველთა რაოდენობა?
- გამყიდველთა რაოდენობა?



ჩანერე მნიშვნელობები ტექსტში:

- ბაზრის წონასწორობის წერტილში ფორთოხლის ფასი შეადგენს ---- ლარს.
- ბაზრის წონასწორობის წერტილში ფორთოხლის მყიდველთა რაოდენობა (მოთხოვნის რაოდენობა) შეადგენს ---- ადამიანს.
- ბაზრის წონასწორობის წერტილში ფორთოხლის გამყიდველთა რაოდენობა (მიწოდების რაოდენობა) შეადგენს ---- ადამიანს.

**საპარჯიშო 4: აირჩიე სწორი პასუხები. გამოიყენე ცხრილი, შენი აგებული დიაგრამა და აგრეთვე სახელმძღვანელოს 72-74 გვერდებზე მოცემული დიაგრამები.**

- როდესაც ფორთოხლის ფასი 40 თეთრია, ბაზარზე გვაქვს:
  - პროდუქტის სიჭარბე
  - პროდუქტის დეფიციტი
  - საბაზრო წონასწორობა
- როდესაც ფორთოხლის ფასი 60 თეთრია, ბაზარზე გვაქვს:
  - პროდუქტის სიჭარბე
  - პროდუქტის დეფიციტი
  - საბაზრო წონასწორობა
- როდესაც ფორთოხლის ფასი 90 თეთრია, ბაზარზე გვაქვს:
  - პროდუქტის სიჭარბე
  - პროდუქტის დეფიციტი
  - საბაზრო წონასწორობა

4. ფორთოხლის ფასი 30 თეთრი იყო და გაიზარდა 50 თეთრამდე.  
რა მოუვიდა ფორთოხალზე მოთხოვნას?  
ა) შემცირდა  
ბ) გაიზარდა  
გ) დარჩა უცვლელი
5. ფორთოხლის ფასი 30 თეთრი იყო და გაიზარდა 50 თეთრამდე.  
რა მოუვიდა ფორთოხლის მიწოდებას?  
ა) შემცირდა  
ბ) გაიზარდა  
გ) დარჩა უცვლელი

**სავარჯიშო 5:** გაიხსენე შემთხვევა, როდესაც შენ ან შენმა ახლობელმა დაუფიქრებლად შეიძინეთ რაიმე პროდუქცია. აღწერე ეს შემთხვევა და გაარჩიე, რაციონალური იყო თუ არა ეს არჩევანი? შეიძენდი თუ არა იმავე პროდუქტს, წინასწარ რომ დაფიქრებულიყავი და ყველა შესაძლებლობა აგეწონ-დაგეწონა? შეეცადე ახსნა, რამ მოახდინა ზეგავლენა შენს (ან შენი ახლობლის) არჩევანზე.

**საპარჯიშო 6. დაწერე ესე თემაზე: ყოველთვის სამართლიანია ვაჭრობა?**  
(შეგიძლია განიხილოთ „სამართლიანი ვაჭრობის“ მოძრაობის მაგალითი)

### თავი 3. კონკურენცია

**საპარჯიშო 1:** განიხილე სახელმძღვანელოს 71-ე გვერდზე მოცემული სქემა №5 და ჩამოაყალიბე, ბაზრის რომელი ტიპები მიეკუთვნება სრულყოფილ და არასრულყოფილ კონკურენციას.

სრულყოფილი კონკურენცია	არასრულყოფილი კონკურენცია

### საპარჯიშო 2: როგორი ტიპის ბაზარია?

განიხილე ქვემოთ მითითებული საქონლის ბაზარი შენი ქალაქის/რაიონის მაგალითზე. განიხილე: რამდენი მიმწოდებელია ბაზარზე? შეუძლია თუ არა რომელიმე მათგანს თავისი სურვილისამებრ შეცვალოს პროდუქციის საბაზრო ფასი? გააკეთე დასკვნა ბაზრის ტიპის შესახებ. მოიშველიე სქემა №1 სახელმძღვანელოს 68-ე გვერდიდან.

საქონელი	მწარმოებელთა/ მიმწოდებელთა რაოდენობა	ერთი მიმწოდებლის (ან მცირე ჯგუფის) საბაზრო ფასზე ზეგავლენის უნარი	ბაზრის ტიპი (სრულყოფილი კონკურენცია, მონოპოლია, ოლიგოპოლია თუ მონოპოლისტური კონკურენცია)
ვაშლი			

ბენზინი			
მობილური ტელეფონები			
ლიმონათი			
ელექტროენერჯის მინოდება			

**საპარჯიშო 3:** ჩანერე ცხრილში, ვისთვის არის სასარგებლო/საზიანო კონკურენცია და ვისთვის – მისი შეზღუდვა (განიხილე სხვადასხვა ტიპის მწარმოებლები/გამყიდველები და მომხმარებლები). თითოეულ შემთხვევაში ახსენი მიზეზი.

კონკურენცია სასარგებლოა	კონკურენციის შეზღუდვა სასარგებლოა
კონკურენცია საზიანოა	კონკურენციის შეზღუდვა საზიანოა


**საპარჯიშო 4: ჩამონერე მიზეზები, რის გამოც მენარმეები ცდილობენ კონკურენციას თავი აარიდონ.**

**საპარჯიშო 5: აირჩიე სწორი პასუხი:**

1. მენარმე ცდილობს წარმოება გაამსხვილოს, ვინაიდან:
  - ა) ერთეული პროდუქციის წარმოება მსხვილ საწარმოში ნაკლები ჯდება;
  - ბ) ერთეული პროდუქციის წარმოება მსხვილ მენარმეს მეტი უჯდება;
  - გ) მსხვილი საწარმო უფრო პრესტიჟულია;
  - დ) მსხვილ საწარმოში პროდუქციის ხარისხი უკეთესია;
  - ე) მომხმარებლებს მსხვილ საწარმოში წარმოებული პროდუქცია ურჩევენიათ.
  
2. ბაზარზე დომინირებული მდგომარეობა აქვს კომპანიას:
  - ა) რომელიც ყველაზე დიდია;
  - ბ) რომელიც ყველაზე პატარაა;
  - გ) რომელსაც შეუძლია ზემოქმედება საბაზრო ფასზე;
  - დ) რომელიც ყველაზე კარგი ხარისხის პროდუქტს აწარმოებს.
  
3. კარტელი ნიშნავს:
  - ა) ერთობლივ წარმოებას;
  - ბ) მენარმეთა შეთანხმებას პროდუქციის გასაყიდ ფასზე;
  - გ) მსგავსი ტიპის პროდუქციის მწარმოებლებს.
  
4. ანტიმონოპოლური კანონი კრძალავს:
  - ა) მონოპოლიებს;
  - ბ) მონოპოლიებს და კარტელებს;
  - გ) კარტელებს და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას;
  - დ) მონოპოლიებს და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას;
  - ე) ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის ქონას.
  
5. მენარმეებისთვის სახელმწიფო დახმარებები
  - ა) დაშვებულია;
  - ბ) დაშვებულია, ცალკეული გამონაკლისების გარდა;
  - გ) აკრძალულია;
  - დ) აკრძალულია, ცალკეული გამონაკლისების გარდა.

## თავი 4. საბაზრო ჩავარდნები

**სავარჯიშო 1:** სქემაზე განათავსე ყველა აზრი, რაც კავშირშია ფრაზასთან „ბაზრის მარცხი“



### სავარჯიშო 2: აირჩიე სწორი პასუხი (ან პასუხები)

1. „საბაზრო ჩავარდნა“ ნიშნავს სიტუაციას, როცა:
  - ა) ბაზარზე საკმარისი პროდუქტი არ არის;
  - ბ) ბაზარზე ძალიან ბევრი გამყიდველია;
  - გ) ბაზარი რაიმე პრობლემას ვერ უმკლავდება;
2. გარეგანი ეფექტის მაგალითებია:
  - ა) ატმოსფეროს დაბინძურება ცემენტის ქარხნის მილიდან;
  - ბ) მუშების მძიმე სამუშაო პირობები;
  - გ) მდინარის დაბინძურება საკანალიზაციო წყლებით;
  - დ) პროდუქციის დაბალი ხარისხი;
  - ე) ნედლეულის არაეფექტური გამოყენება;
  - ვ) ნარჩენების ნაგავსაყრელი ქარხნის გარშემო.
3. თუ პროდუქციის წუნის გამო მომხმარებელი დაზარალდა, ზიანი მას უნდა აუნაზღაუროს:
  - ა) გამყიდველმა;
  - ბ) მალაზიამ;
  - გ) მწარმოებელმა ან იმპორტიორმა;
  - დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
4. პროდუქციის შეფუთვაზე დატანილი აღნიშვნა  ნიშნავს:
  - ა) პროდუქცია არ აზიანებს გარემოს;
  - ბ) პროდუქცია აკმაყოფილებს ევროკავშირის დადგენილ უსაფრთხოების მოთხოვნებს;
  - გ) პროდუქცია განკუთვნილია ერთი რომელიმე ქვეყნისთვის;
  - დ) მწარმოებელი არ აგებს პასუხს ამ პროდუქციის უსაფრთხოებაზე.
5. პროდუქციის შეფუთვაზე დატანილი აღნიშვნა  ნიშნავს:
  - ა) პროდუქცია შეიცავს მოძრავ ნაწილებს;
  - ბ) შესაფუთი მასალა გარემოში მოხვედრისას იოლად ლპება;
  - გ) შესაძლებელია შესაფუთი მასალის გადამუშავება და ხელახალი გამოყენება (რეციკლი-

რება);

დ) პროდუქციის ნაგავში გადაგდება იკრძალება.

6. „ინფორმაციის ასიმეტრია“ ნიშნავს:

ა) მომხმარებელს სხვადასხვა საქონლის შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია აქვს;

ბ) მომხმარებლების ინფორმირებულობის დონე განსხვავებულია;

გ) გამყიდველი ყოველთვის ინფორმირებული არ არის;

დ) მყიდველს და გამყიდველს გასაყიდი პროდუქტის შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია აქვთ.

### **საპარჯიშო 3: ჩამონერე, რომელ პრობლემებს აგვარებს ბაზარი დამოუკიდებლად, ჩარევის გარეშე და რომელს – ვერა. განიხილე შემდეგი პრობლემები:**

1. პროდუქციის დეფიციტი,
2. სიღარიბე,
3. გარემოს დაბინძურება,
4. პროდუქციის დაბალი ხარისხი,
5. უმუშევრობა,
6. ქონებრივი უთანასწორობა,
7. რესურსების არაეფექტური ხარჯვა,
8. მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა
9. ერთგვაროვანი პროდუქციის სიჭარბე,
10. საქონლის არაადეკვატური ფასი,
11. განათლების ხელმიუწვდომლობა ყველასთვის,
12. მომხმარებლისთვის საშიში/მაგნე პროდუქცია ბაზარზე,
13. ბავშვთა შრომა,
14. მოძველებული, არათანამედროვე საქონელი,
15. ჯანდაცვის ხელმიუწვდომლობა ყველასთვის.

პრობლემები, რომელსაც ბაზარი  
დამოუკიდებლად უმკლავდება

პრობლემები, რომელსაც ბაზარი  
დამოუკიდებლად ვერ უმკლავდება  
(ბაზრის მარცხი)

**საპარჯიშო 4:** არსებობს მოსაზრება, რომ საავტომობილო სანვაზე დამატებითი გადასახადის დაწესება ჰაერის დაბინძურებას ამცირებს. ეთანხმები თუ არა ამ მოსაზრებას? დაასაბუთე შენი პოზიცია.

**საპარჯიშო 5:** ჩამოწერე რამდენიმე პროდუქტი, რომელიც გარემოს სხვებზე ნაკლებად აზიანებს. ახსენი, რატომ აირჩიეთ ეს პროდუქტი? რატომ მიგაჩნია, რომ ეს პროდუქტი გარემოს არ აზიანებს?

**საპარჯიშო 6:** წარმოიდგინე, რომ ნახმარ კომპიუტერს, მობილურ ტელეფონს ან ავტომობილს იძენ. გარეგნულად პროდუქციას არავითარი დაზიანება არ ეტყობა და სრულებით ახალივით გამოიყურება. გამყიდველიც გარწმუნებს, რომ პროდუქცია „თითქმის უხმარია“.

გადაიხდი თუ არა ამ პროდუქციაში იმავე ფასს, რასაც ახალ, უხმარ პროდუქციაში გადაიხდიდი? რატომ? დაასაბუთე შენი პოზიცია.

**საპარჯიშო 7:** მეწარმე ვალდებულია მომხმარებელს ქართულ ენაზე მიაწოდოს გარკვეული ინფორმაცია გასაყიდი პროდუქციის თაობაზე. აირჩიე ჩამოთვლილიდან ინფორმაცია, რომლის მიწოდება სავალდებულო არ არის:

- ა) პროდუქციის დასახელება /სახე;
- ბ) პროდუქციის ბრენდული სახელწოდება;
- გ) მწარმოებელი ფირმის დასახელება;
- ე) პროდუქციის წონა (არასასურსათო პროდუქტებისთვის);
- ვ) პროდუქციის დამზადების ტექნოლოგია;
- ზ) პროდუქციის დამზადების თარიღი (სასურსათო პროდუქტებისთვის);
- თ) გამყიდველის სახელი და გვარი;
- ი) პროდუქციის გამოყენების ინსტრუქცია;
- კ) მწარმოებლის საკონტაქტო მისამართი;
- ლ) ქვეყანა, რომელშიც წარმოებულია პროდუქცია.

**საპარჯიშო 8:** ქვემოთ ჩამოთვლილია რამოდენიმე სახიფათო საქონელი. მიუთითე, შენი აზრით, რომელი მათგანის გაყიდვა უნდა აიკრძალოს (ან შეიზღუდოს) და რატომ?

საფრთხის შემცველი პროდუქტი	უნდა აიკრძალოს თუ არა? დაასაბუთეთ
ბასრი დანა	
შუშის ქიქა	
სიგარეტი	
დარიშხანი	

## თავი 5. საკუთრება

### საპარჯიზო 1: აირჩიე სწორი პასუხი

კერძო საქონელი:

- ა) გამორიცხვადია და მეტოქისუნარიანია;
- ბ) გამორიცხვადია, მაგრამ არ არის მეტოქისუნარიანი;
- გ) მეტოქისუნარიანია, მაგრამ არ არის გამორიცხვადი;
- დ) არც მეტოქისუნარიანია და არც გამორიცხვადი.

**საპარჯიზო 2:** ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული ტიპის სიკეთისთვის მიუთითე, არის თუ არა ის მეტოქისუნარიანი ან/და გამორიცხვადი.

სიკეთე:	მეტოქისუნარიანობა (მომხმარებლები ერთმანეთს ეცილებიან)	გამორიცხვადობა (შესაძლებელია მოხმარების აღკვეთა)
1. ეროვნული თავდაცვა		
2. ჰამბურგერი		
3. უმაღლესი განათლება		
4. ნაყინი		
5. სპექტაკლი ღია სივრცეში		
6. ინფექციური დაავადებების პრევენცია		
7. პერსონალური კომპიუტერი		
8. ქუჩა		
9. სოფლის საძოვრები		
10. მეტრო		
11. ქუჩების სისუფთავე		

**საპარჯიშო 3:** აირჩიე საქართველოში საერთო მოხმარების რესურსების სამი სახეობა (მაგ: საძოვრები, სკვერები, ტყე, მდინარე, ზღვის სანაპირო, გზები და სხვა). ჩამოწერე, რა პრობლემებია დაკავშირებული თითოეული მათგანის მოხმარებასთან. შენი აზრით, როგორ შეიძლება გადაიჭრას ისინი?

საერთო მოხმარების რესურსი	დაკავშირებული პრობლემები
1.	1.
2.	2.
3.	3.

**საპარჯიშო 4:** როგორ ფიქრობ, უმაღლესი განათლება უფასო უნდა იყოს თუ არა? ჩამოაყალიბე შენი აზრი და დაასაბუთე.

## სავარჯიშო 5: ერთმანეთის შესაბამისი ცნებები დააკავშირე ისრებით.

სიმღერა

ბრენდული სახელწოდება

საავტორო უფლება

რომანი

ტრადიციული სურსათი

პატენტი

ფოტო

გამოგონება

სასაქონლო ნიშანი

ფეხსაცმლის დიზაინი

ძეგლი

გეოგრაფიული აღნიშვნა

სამკაულის დიზაინი

ნახატი

## სავარჯიშო 6: არასასურველი რეკლამის „გამოწერის“ გაუქმება.

შენს ან შენი ახლობლების მიღებულ სარეკლამო სმს-შეტყობინებებში აირჩიე რომელიმე, რომლის მიღებაც აღარ გსურთ. მოძებნე სმს-შეტყობინების ბოლოს მითითება იმის თაობაზე, თუ როგორ არის შესაძლებელი მისი „გამოწერის“ გაუქმება – ეს შეიძლება იყოს წარწერა: Unsubscribe, SMS OFF ან სხვა მსგავსი, ტელეფონის მითითებით, რომელზეც უნდა დარეკო ან გაგზავნო შეტყობინება. შეასრულე მითითება ხელმოწერის გასაუქმებლად .

თუკი არასასურველ სმს-ზე ხელმოწერის გაუქმებას ვერ ახერხებ (სმს-ში მითითებული ტელეფონი არ მუშაობს ან გაუქმების შესაძლებლობა სმს-ში მითითებული საერთოდ არ არის), აცნობე ამის შესახებ პერსონალური ინფორმაციის დაცვის ინსპექტორს. ამისათვის შედი ინტერნეტში, ვებ-მისამართზე <http://personaldata.ge/ge/contact> და შეავსე შეტყობინების ფორმა: მიუთითე შენი სახელი და გვარი, ელ-ფოსტის მისამართი და აღწერე, თუ რა ნომრიდან შემოვიდა სმს-გზავნილი, რა მოიმოქმედე მისი გამოწერის გასაუქმებლად და როგორი იყო შედეგი. ელ-ფოსტაზე აუცილებლად მოგივა პასუხი პერსონალური ინფორმაციის დაცვის ინსპექტორისგან. შესაძლოა იგი დამატებით ინფორმაციას ითხოვდეს. შეასრულე მისი თხოვნა.

აღწერეთ ამ სავარჯიშოს შედეგად მიღებული გამოცდილება:

## თავი 6. ქონებრივი ურთიერთობები

**სავარჯიშო 1:** განიხილე ქვემოთ ჩამოთვლილი სახელშეკრულებო ურთიერთობები და მიუთითე ხელშეკრულების მხარეები

ურთიერთობა	ხელშეკრულების მხარეები	
ანამ მაღაზიაში წიგნი შეიძინა		
ილია სკოლაში ავტობუსით წავიდა		
გოგიმ და თამარმა ტელეფონები გაცვალეს		
ნინომ ვახტანგს წიგნი ათხოვა		
ელისო ბინას ქირაობს		
მიხამ ნიკას ბურთი აჩუქა		
მანანამ კომპიუტერი განვადებით შეიძინა		
თამარს ბინაში ბუნებრივი გაზი აქვს გაყვანილი		
ნაგვის შემგროვებელი მანქანა სანაგვე ყუთს ცლის		
ეთერი კერძო სკოლაში სწავლობს		
ზვიადმა ბანკში სესხი აიღო		

## საპარჯიშო 2: აირჩიე სწორი პასუხი:

1. გარიგება არის:
  - ა) ნების გამოვლენა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის თაობაზე;
  - ბ) დიდების საზღაური;
  - გ) ალტერნატივებიდან ერთის არჩევა.
  
2. თუ ვინმემ დაგიდოთ ხელშეკრულება, მაგრამ არ ასრულებს მას:
  - ა) თქვენ შეგიძლიათ აგრეთვე არ შეასრულოთ ხელშეკრულება;
  - ბ) თქვენ უნდა აცნობოთ მეორე მხარეს, რომ თქვენი აზრით ის ხელშეკრულებას არ ასრულებს და მისცეთ გონივრული ვადა გამოსასწორებლად. ამ ვადის გასვლის შემდეგ შეგიძლიათ მოითხოვოთ ხელშეკრულების გაუქმება;
  - გ) თქვენ მაინც უნდა შეასრულოთ ხელშეკრულება.
  
3. თუ გარიგება მოტყუებით დაგიდეს (მაგალითად, მისი დადებისას მოგანოდეს არასწორი ან არასრული ინფორმაცია გარიგების საგნის თაობაზე):
  - ა) შეგიძლია არ შეასრულო გარიგება და არც აცნობო ამის თაობაზე მეორე მხარეს;
  - ბ) გარიგების გაუქმება შეუძლებელია;
  - გ) უნდა აცნობო მეორე მხარეს, რომ მიგაჩნია, რომ გარიგება მოტყუებით დაიდო და გსურს მისი გაუქმება.

## საპარჯიშო 3: სწორია თუ არა?

1. ხელშეკრულებიდან როცა გინდა მაშინ გახვალ	სწორია	არასწორია
2. ხელშეკრულება არის გარიგება ორ ან მეტ პირს შორის	სწორია	არასწორია
3. ყველა ხელშეკრულება გარიგებაა, თუმცა ყველა გარიგება ხელშეკრულება არ არის	სწორია	არასწორია
4. ძალაშია მხოლოდ წერილობითი ხელშეკრულებები	სწორია	არასწორია
5. იძულებით დადებული გარიგების ბათილობას ვერ მოითხოვ	სწორია	არასწორია
6. ხელშეკრულების შესაწყვეტად საკმარისია მეორე მხარის გაფრთხილება	სწორია	არასწორია
7. ხელშეკრულების გაუქმება შეუძლებელია	სწორია	არასწორია
8. თუ მხარე ხელშეკრულებას არ ასრულებს, მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება	სწორია	არასწორია
9. ნაყიდი საქონლის მალაზიისთვის დაბრუნება არ შეიძლება, სულერთია ნაკლიანია ის თუ უნაკლო	სწორია	არასწორია

**სავარჯიშო 4:** ზოგ ქვეყანაში მომხმარებელს უფლება აქვს შეძენილი საქონელი რამოდენიმე დღეში მაღაზიას უკან დაუბრუნოს. ჩამოწერე ამ წესის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები

**სავარჯიშო 5:** გაეცანი ევროკავშირში მომხმარებლის უფლებების აღწერას. შენი აზრით, რომელი მათგანი უნდა ჰქონდეს ქართველ მომხმარებელს და რომელი – არ უნდა ჰქონდეს?

**სავარჯიშო 6:** გივი ბანკში კრედიტის (სესხის) აღებას გეგმავს. სხვადასხვა ბანკებში კრედიტის გაცემის სხვადასხვა პირობებია. რომელია ის ძირითადი მაჩვენებელი, რითაც უნდა შეადაროს გივიმ სხვადასხვა ბანკის პირობები?

- ა) ნომინალური საპროცენტო განაკვეთი;
- ბ) მომსახურების საკომისიო;
- გ) სესხის გაცემის საკომისიო;
- დ) ეფექტური საპროცენტო განაკვეთი;
- ე) თანხის განაღდების საკომისიო.

## თავი 7. საერთაშორისო ვაჭრობა

**სავარჯიშო 1:** ჩამოთვალე მიზეზები, რის გამოც ერთი და იმავე პროდუქციის წარმოება ერთ ქვეყანას უფრო მეტი უჯდება, ვიდრე მეორეს.

### სავარჯიშო 2: აირჩიე სწორი პასუხ(ებ)ი.

1. ალტერნატიული დანახარჯი ნიშნავს:
  - ა) ეგზოტიკური, იშვიათი ნედლეულის ფასს;
  - ბ) დანახარჯებს, რომელიც ექნებოდა მენარმეს, სხვა ტექნოლოგია რომ გამოეყენებინა;
  - გ) იმას, რაც არ ავირჩიეთ.
2. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიზანია:
  - ა) დემოკრატიის განვითარება;
  - ბ) რაც შეიძლება მეტი საქონლის და მომსახურების შესყიდვა;
  - გ) საბაზრო ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა;
  - დ) ქვეყნებს შორის ვაჭრობის ხელშეწყობა;
  - ე) ნავთობის ფასის დადგენა.
3. საერთაშორისო ვაჭრობას აფერხებს:
  - ა) საქონლის მრავალფეროვნება;
  - ბ) საბაჟო ტარიფები/გადასახადები;
  - გ) განსხვავებული ტექნიკური მოთხოვნები პროდუქციისადმი;
  - დ) პროდუქციის უსაფრთხოება;
  - ე) კვოტები იმპორტზე;
4. პროტექციონისტული პოლიტიკა ნიშნავს:
  - ა) ქვეყნის შიდა ბაზრის დაცვას იმპორტისგან;
  - ბ) ქვეყნის თავდაცვას;
  - გ) ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნის დაცვას;
  - დ) კომპანიის მიერ ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფას.
5. ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ნიშნავს, რომ:
  - ა) საქართველო ევროკავშირის წევრია;
  - ბ) საქართველო ევროკავშირის წევრი გახდება;
  - გ) ნებისმიერი ქართული პროდუქციის შეუფერხებლად დაშვებას ევროპულ ბაზარზე;
  - დ) ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვაჭრობის გაიოლებას – იმ პირობით, თუკი საქართველოში წარმოებული პროდუქცია უსაფრთხო იქნება.

### საპარჯიზო 3: სწორია თუ არა?

1. საერთაშორისო ვაჭრობა მომგებიანია მხოლოდ იმ ქვეყნებისთვის, რომელიც ნავთობს ან გაზს ყიდის	სწორია	არასწორია
2. საერთაშორისო ვაჭრობა მომგებიანია მხოლოდ მონინავე ტექნოლოგიების მქონე ქვეყნებისთვის	სწორია	არასწორია
3. აგრარული ქვეყნები საერთაშორისო ვაჭრობაში ყოველთვის წაგებულნი რჩებიან	სწორია	არასწორია
4. საერთაშორისო ვაჭრობა ყველა ქვეყნისთვის მომგებიანია	სწორია	არასწორია
5. საერთაშორისო ვაჭრობა მომგებიანია მხოლოდ მდიდარი ქვეყნებისთვის	სწორია	არასწორია
6. ქვეყანას შეუძლია გაყიდოს მხოლოდ ის პროდუქცია, რომლის წარმოებაში მას აბსოლუტური უპირატესობა გააჩნია	სწორია	არასწორია
7. ყოველთვის არსებობს პროდუქცია, რომლის წარმოებაში ქვეყანას სხვებთან შედარებით შეფარდებითი უპირატესობა გააჩნია	სწორია	არასწორია

### საპარჯიზო 4: სპორტული ესტაფეტა

გივი და ზვიადი სპორტულ შეჯიბრში მონაწილეობას აპირებენ. შეჯიბრი ორკაციან გუნდებს შორის იმართება. გუნდის ერთმა წევრმა სკოლის ეზოს უნდა შემოურბინოს, მეორემ კი – სკოლის აუზი უნდა გადაცუროს. გამარჯვებულად ჩაითვლება ის გუნდი, რომელიც ორივე დავალებას (ჯამურად) ყველაზე ნაკლებ დროში შეასრულებს.

ზვიადი ეზოს შემორბენაზე და აუზის გადაცურვაზე ერთნაირ დროს, 6-6 წუთს ხარჯავს. გივი მასზე სწრაფია – იგი ზვიადზე ორჯერ უფრო სწრაფად ცურავს და სამჯერ უფრო სწრაფად დარბის. როგორ უნდა გაინაწილონ დავალება ბიჭებმა, რომ შეჯიბრში (ჯამურად) მინიმალური დრო აჩვენონ?

შეავსე ცხრილი:

შეჯიბრის მონაწილე	ეზოს შემორბენის დრო	აუზის გადაცურვის დრო	სპორტის სახეობა, რომელშიც მონაწილეს შეფარდებითი უპირატესობა გააჩნია
გივი			
ზვიადი			

**სავარჯიშო 5: ჩაწერე, ვის ახეირებს და ვის აზარალებს პროდუქციის იმპორტი და ექსპორტი და ახსენი, რატომ?**

(იმპორტი ნიშნავს ქვეყანაში პროდუქციის შემოტანას, ექსპორტი – პროდუქციის ქვეყნიდან გატანას)

**იმპორტი**

აზარალებს	ახეირებს

**ექსპორტი**

აზარალებს	ახეირებს

**საპარჯიშო 6:** მოიძიე ინტერნეტში 3-4 სტატია გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტების შესახებ. კრიტიკულად გაიაზრე მათი შინაარსი და ჩამოწერე, რა არის შენი აზრით ამ სტატიებში სწორი და რა – მცდარი.

სწორი ინფორმაცია	მცდარი ინფორმაცია

## თავი 8. სახელმწიფოს როლი

### საპარჯიშო 1: აირჩიე სწორი პასუხი.

1. მთლიანი შიდა პროდუქტი ნიშნავს:
  - ა) ქარხანაში ერთი წლის განმავლობაში წარმოებული პროდუქტის ღირებულებას;
  - ბ) 1 წლის განმავლობაში ქვეყანაში წარმოებულ შუალედური პროდუქტების ღირებულებას;
  - გ) 1 წლის განმავლობაში ქვეყანაში წარმოებულ საბოლოო პროდუქტის/მომსახურების ღირებულებას;
  - დ) ქარხანაში ერთი წლის განმავლობაში წარმოებული პროდუქტის (შუალედურის და საბოლოოს) ღირებულებას.
  
2. ინფლაცია არის:
  - ა) ფასების ზრდა;
  - ბ) ფასების კლება;
  - გ) პროდუქციის რაოდენობის ზრდა;
  - დ) პროდუქციის რაოდენობის კლება.
  
3. 2014 წელს მსოფლიოში ყველაზე დიდი მშპ ჰქონდა:
  - ა) რუსეთს;
  - ბ) ჩინეთს;
  - გ) საქართველოს;
  - დ) აშშ-ს;
  - ე) დიდ ბრიტანეთს.
  
4. ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებული მშპ-ს მიხედვით (2014 წლის მონაცემებით):
  - ა) ჩინეთი მსოფლიოში პირველია;
  - ბ) აშშ მსოფლიოში პირველია;
  - გ) სომხეთი საქართველოს უსწრებს;
  - დ) იაპონია აშშ-ს უსწრებს.
  
5. სამომხმარებლო კალათა ნიშნავს:
  - ა) პროდუქტების მინიმალურ ჩამონათვალს, რომელიც მომხმარებელს სჭირდება;
  - ბ) მომხმარებლის მიერ დღის განმავლობაში შეძენილ საქონელს/მომსახურებას;
  - გ) ქვეყანაში ყველაზე ხშირად მოხმარებადი საქონლის და მომსახურების ჩამონათვალს;
  - დ) ბორბლიან კალათას, რომელსაც სუპერმარკეტში ვიყენებთ.
  
6. ინფლაცია იზომება:
  - ა) ქვეყანაში ყველა პროდუქტის/მომსახურების ფასების ზრდის მიხედვით;
  - ბ) დოლარის კურსის ცვლილების მიხედვით;
  - გ) სასურსათო კალათის ფასების ცვლილების მიხედვით;
  - დ) სამომხმარებლო კალათის ფასების ცვლილების მიხედვით.
  
7. საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი საქართველოში შეადგენს:
  - ა) დაახლოებით 144 ლარს;
  - ბ) დაახლოებით 252 ლარს;
  - დ) 778 ლარს.

## საპარჯიშო 2: სწორია თუ არა?

1. დღეს მსოფლიოში ყველა ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკაა	სწორია	არასწორია
2. საბაზრო ეკონომიკა ყოველთვის დემოკრატიულია	სწორია	არასწორია
3. მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ ეკონომიკაში წარმოების საშუალებები სახელმწიფოს ეკუთვნის	სწორია	არასწორია
4. საბაზრო ეკონომიკაში ფასებს სახელმწიფო ადგენს	სწორია	არასწორია
5. დღეს მსოფლიოში ყველა ქვეყანაში შერეული ეკონომიკაა	სწორია	არასწორია

**საპარჯიშო 3:** საქართველოში საშუალო მომხმარებელი სურსათზე თავისი შემოსავლის ერთ მესამედს ხარჯავს (იხ. დიაგრამა სახელმძღვანელოს 64-ე გვერდზე). თუმცა, საარსებო მინიმუმში სასურსათო კალათის ღირებულება ორ-მესამედს შეადგენს. ეს იმიტომ ხდება, რომ ღარიბი მოსახლეობა იძულებულია სამომხმარებლო კალათაში შესული პროდუქტების/მომსახურებების ნაწილის შექენაზე მთლიანად უარი თქვას.

თქვენი აზრით, რომელია ის პროდუქტები და მომსახურება, რომელსაც ღარიბი მოსახლეობა სრულებით არ/ვერ იძენს? რომელი მათგანის შექენაში ეხმარება მათ სახელმწიფო?

**საპარჯიშო 4:** გამოკითხე შენი ოჯახის წევრები ან ნაცნობები – როგორი იყო ცხოვრება საბჭოთა კავშირში. გააანალიზე მონათხრობი და დანერე შენი მოსაზრებები საბაზრო და გეგმური ეკონომიკის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ:

**მრბანებლურ-გეგმური ეკონომიკა**

დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები

**საბაზრო ეკონომიკა**

დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები





**საპარჯიშო 6:** შეადარე შენი სასურსათო კალათა სახელმძღვანელოს 66-ე გვერდზე მითითებულ მინიმალურ სასურსათო კალათას. ჩამოწერე, რომელ პროდუქტებს მოიხმარ უფრო მეტს ვიდრე მინიმალურ კალათაშია, რომელს კი – უფრო ნაკლებს. როგორ ფიქრობ, რა არის ამის მიზეზი? ხომ არ უნდა შეცვალო შენი კვების რაციონი?

მოვიხმარ მეტს, ვიდრე მინიმალურ კალათაშია	მოვიხმარ ნაკლებს, ვიდრე მინიმალურ კალათაშია



